

კავშირი ემოციურ რეგულაციასა და ენობრივ განვითარებას შორის აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებში

თინათინ ავსაჯანიშვილი

სამაგისტო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებთა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი
თინათინ ჭინჭარაული, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ავსაჯანიშვილი

25 ივნისი, 2021

აბსტრაქტი

ემოციური რეგულაციისა და ენობრივი განვითარების სირთულეები აუტიზმის სპექტრის დარღვევის მნიშვნელოვანი მახასიათებლებია. ემოციური რეგულაცია გავლენას ახდენს ყურადღებასა და სოციალურ ჩართულობაზე და აუცილებელია სოციალურ-ემოციური და კომუნიკაციის სფეროს ოპტიმალური განვითარებისთვის (Prizant & Mayer, 1993). ენობრივი უნარების განვითარებისთვის, კი ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი ყურადღება მიაქციოს გარემოში არსებულ შესაბამის გამღიზიანებლებს, მიმართოს ყურადღება ენობრივი ინფორმაციის მიმართ, იყოს მონაწილე სოციალური პროცესების და შეძლოს შემომავალი ინფორმაციის დაკავშირება უკვე არსებულ ინფორმაციასთან. იქიდან გამომდინარე, რომ ორივე სფერო მსგავს ასპექტებთანაა დაკავშირებული და ორივე აუტიზმის სპექტრის დარღვევის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, საინტერესოა დადგინდეს, არსებობს თუ არა კავშირი ემოციურ რეგულაციასა და ენობრივ განვითარებას შორის.

მოცემული კვლევა სწორედ ამ კავშირის გამოვლენას ისახავს მიზნად აუტიზმის სპექტრის დარღვევის (ასდ) მქონე ბავშვებში. კვლევის ჰიპოთეზაა, რომ ასდ-ს მქონე ემოციური რეგულაციის მძიმე დარღვევის მქონე ბავშვები მეტად არიან მიდრეკილნი ენობრივი სირთულეების განვითარებისკენ, ვიდრე ასდ-ს მქონე მსუბუქი ემოციური რეგულაციის დარღვევის მქონე ბავშვები. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ ემოციური რეგულაცია ერთნაირადაა დაკავშირებული როგორც რეცეპტული, ასევე ექსპრესული ენის განვითარებასთან.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 40 ბავშვის შეფასება მშობელთან ინტერვიუსა და კლინიკური შეფასების საფუძველზე. ინტერვიუს დროს ფასდებოდა ემოციური რეგულაციის განვითარება, ხოლო კლინიკის კონტექსტში ხდებოდა ენობრივი უნარების შეფასება. მონაცემები დამუშავდა პროგრამა SPSS-ში და გამოითვალა კორელაციური კავშირების არსებობა აღნიშნულ ცვლადებს შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს სუსტი დადებითი კორელაციური კავშირი ემოციურ რეგულაციასა და ენობრივ

განვითარებას შორის, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. სხვა სიტყვებით, ცვლილებები ემოციურ რეგულაციაში, დაკავშირებულია ცვლილებებთან ენობრივ განვითარებაში, თუმცა კვლევის მიხედვით ეს კავშირი სუსტია. გარდა ამისა, დადასტურდა კვლევაში გამოთქმული ვარაუდი, რომ ემოციური რეგულაცია ერთნაირადაა დაკავშირებული და მსგავს როლს თამაშობს რეცეპტული და ექსპრესული ენის განვითარებაში. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ არსებობს გარკვეული კავშირი კვლევისთვის საინტერესო ცვლადებს შორის და შესაბამისად, ხაზს უსვამს სამომავლო კვლევების ჩატარების საჭიროებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტიზმის სპექტრის დარღვევა, ემოციური რეგულაცია, ენობრივი განვითარება

Abstract

Difficulties in emotional regulation and language development are important features of Autism Spectrum Disorder (ASD). Emotional regulation influences attention and social engagement and is important for development of optimal social-emotional and communicative domain (Prizant & Mayer, 1993). On the other hand, to develop proper language skills, a person must be able to notice relevant stimuli in the environment, pay attention to language information, participate in social processes and be able to map incoming information with already existing knowledge. Since both areas are related to similar aspects and both are important features of ASD, it is important to determine if there is a relationship between emotional regulation and language development.

Research aims to identify this association in children with ASD. The hypothesis of the research is that children with ASD who have more severe emotion regulation disorder are more likely to develop language difficulties, than children with mild emotional regulation disorder. In addition, it is likely that emotional regulation is equally related to the development of both receptive and expressive language.

During the study 40 children were assessed based on parent interviews and clinical evaluation. The aim of the interview was to assess emotional regulation and clinical evaluation was used to assess language development. The data were processed in the SPSS program to determine correlation between these variables. The results of the study showed that there is a weak positive correlation between emotional regulation and language development, which is statistically significant. More specifically, changes in emotional regulation are associated with changes in language development, but the association is weak. Moreover, the study confirmed the other hypothesis, that emotional regulation is equally related and plays similar role in the development of receptive and expressive speech. The results of the study are important, as they indicate that there is some correlation between given variables and hence, highlights the need of further research.

Key words: Autism spectrum disorder, emotional regulation, language development

მადლობა

კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა ბავშვებისა და მათი ოჯახების თანამონაწილეობის გარეშე. ავტორი მადლობას უხდის კვლევაში მონაწილე თითოეულ ბავშვსა და მის ოჯახს, ასევე ორგანიზაციებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს კვლევის ჩატარების პროცესში. მათი გულწრფელი და უპირობო თანამშრომლობა ღირებული იყო საკვლევ კითხვაზე მუშაობის პროცესში.